# შემოსავლების სამსახური

## ბრძანება №12500

„30“ 12 2011 წელი თბილისი

**თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებისას თაბაშირის ქვის ნედლეულის თერმული დამუშავებისას საწარმოო დანაკარგის დამტკიცების შესახებ**

„ბუნებრივი დანაკარგების მაქსიმალური ზღვრული ოდენობების შემმუშავებელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 აპრილის №845 განკარგულების მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. თაბაშირ-მუყაოს ფილების წარმოებისას, თაბაშირის ქვის ნედლეულის თერმული დამუშავების საწარმოო დანაკარგი (დეჰიდრატაცია) განისაზღვროს 11%-ის ოდენობით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯამბულ ებანოიძე — სამსახურის უფროსი